

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №127  
2015 წლის 27 აგვისტო

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 30.12.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.157.016199) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**მუხლი 1**

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,574.9	8,302.3	2,253.6	6,048.7	8,569.4	2,694.4	5,875.0	6,364.0	6,614.0	6,850.0
გადასახადები	1,597.7	1,304.5	0.0	1,304.5	900.0	0.0	900.0	951.0	1,024.0	1,045.0
გრანტები	6,536.8	6,478.6	2,253.6	4,225.0	6,919.4	2,694.4	4,225.0	5,217.0	5,376.0	5,502.0
სხვა შემოსავლები	440.4	519.3	0.0	519.3	750.0	0.0	750.0	196.0	214.0	303.0
ხარჯები	4,933.5	5,257.2	4.5	5,252.7	6,161.3	71.5	6,089.9	5,251.1	5,271.1	5,307.2
შრომის ანაზღაურება	1,725.3	1,897.1	0.0	1,897.1	1,682.3	0.0	1,682.3	1,602.2	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,813.2	1,503.7	4.5	1,499.2	1,713.9	71.5	1,642.5	1,526.1	1,516.0	1,607.1
სუბსიდიები	985.5	1,361.4	0.0	1,361.4	1,855.4	0.0	1,855.4	1,821.0	1,821.0	1,721.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	388.0	0.0	388.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	392.1	480.0	0.0	480.0	496.4	0.0	496.4	280.0	310.0	355.0
სხვა ხარჯები	17.4	15.0	0.0	15.0	25.3	0.0	25.3	21.8	21.8	21.8
საოპერაციო სალდო	3,641.4	3,045.1	2,249.1	796.0	2,408.1	2,622.9	-214.9	1,112.9	1,342.9	1,542.8



არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,580.3	2,228.1	1,736.6	491.5	4,851.0	3,473.5	1,377.5	1,112.9	1,342.9	1,542.8
ზრდა	2,605.9	2,262.2	1,736.6	525.6	5,033.0	3,473.5	1,559.5	1,112.9	1,342.9	1,542.8
კლება	25.6	34.1	0.0	34.1	182.0	0.0	182.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სადღო	1,061.1	817.0	512.5	304.5	-2,442.9	-850.6	-1,592.3	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,061.1	817.0	512.5	304.5	-2,442.9	-850.6	-1,592.3	0.0	0.0	0.0
ზრდა	1,061.1	817.0	512.5	304.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	2,442.9	850.6	1,592.3	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	8,600.5	8,336.5	2,253.6	6,082.9	8,751.4	2,694.4	6,057.0	6,364.0	6,614.0	6,850.0
შემოსავლები	8,574.9	8,302.3	2,253.6	6,048.7	8,569.4	2,694.4	5,875.0	6,364.0	6,614.0	6,850.0
არაფინანსური აქტივების კლება	25.6	34.1	0.0	34.1	182.0	0.0	182.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	7,539.4	7,519.4	1,741.1	5,778.3	11,194.3	3,545.0	7,649.3	6,364.0	6,614.0	6,850.0
ხარჯები	4,933.5	5,257.2	4.5	5,252.7	6,161.3	71.5	6,089.9	5,251.1	5,271.1	5,307.2



არაფინანსური აქტივების ზრდა	2,605.9	2,262.2	1,736.6	525.6	5,033.0	3,473.5	1,559.5	1,112.9	1,342.9	1,542.8
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1,061.1	817.0	512.5	304.5	-2,442.9	-850.6	-1,592.3	0.0	0.0	0.0

3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8569,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,574.9	8,302.3	2,253.6	6,048.7	8,569.4	2,694.4	5,875.0	6,364.0	6,614.0	6,850.0
გადასახადები	1,597.7	1,304.5	0.0	1,304.5	900.0	0.0	900.0	951.0	1,024.0	1,045.0
გრანტები	6,536.8	6,478.6	2,253.6	4,225.0	6,919.4	2,694.4	4,225.0	5,217.0	5,376.0	5,502.0
სხვა შემოსავლები	440.4	519.3	0.0	519.3	750.0	0.0	750.0	196.0	214.0	303.0

4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6161.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	სულ	სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	4,933.5	5,257.2	4.5	5,252.7	6,161.3	71.5	6,089.9	5,251.1	5,271.1	5,307.2
შრომის ანაზღაურება	1,725.3	1,897.1	0.0	1,897.1	1,682.3	0.0	1,682.3	1,602.2	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,813.2	1,503.7	4.5	1,499.2	1,713.9	71.5	1,642.5	1,526.1	1,516.0	1,607.1



ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	985.5	1,361.4	0.0	1,361.4	1,855.4	0.0	1,855.4	1,821.0	1,821.0	1,721.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	388.0	0.0	388.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	392.1	480.0	0.0	480.0	496.4	0.0	496.4	280.0	310.0	355.0
სხვა ხარჯები	17.4	15.0	0.0	15.0	25.3	0.0	25.3	21.8	21.8	21.8

5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4851.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 5033.0 ათასი ლარის ოდენობით

ორგ. კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5.3	29.6	220.2	7.9	7.9	7.9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	45.3	2.0	0.0	25.0	0.0	100.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2,555.3	2,230.6	4,812.8	1,080.0	1,235.0	1,384.9
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0
05 00	კულტურა და სპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	50.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	<b>სულ</b>	<b>2,605.9</b>	<b>2,262.2</b>	<b>5,033.0</b>	<b>1,112.9</b>	<b>1,342.9</b>	<b>1,542.8</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 182.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	25.6	34.1	182.0	0.0	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	3.2	0.0	62.0	0.0	0.0	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასეულობები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	22.4	34.1	120.0	0.0	0.0	0.0
მიწა	22.4	34.1	120.0	0.0	0.0	0.0



სხვა ბუნებრივი აქტივები							
-------------------------	--	--	--	--	--	--	--

“

6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,851.9	2,304.3	2,737.3	1,936.9	1,933.8	1,933.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,851.9	2,304.3	2,736.3	1,936.9	1,933.8	1,933.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,851.9	2,293.1	2,719.1	1,886.9	1,883.8	1,883.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	11.2	17.2	50.0	50.0	50.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	91.7	103.8	82.3	101.2	104.3	105.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	411.3	357.0	408.0	386.4	361.5	461.5
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	406.0	357.0	408.0	386.4	361.5	461.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,299.1	1,384.6	2,272.2	400.0	359.9	514.9
7045	ტრანსპორტი	1,594.4	692.2	1,352.3	250.0	355.0	510.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,594.4	692.2	1,352.3	250.0	355.0	510.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	704.7	692.4	919.9	150.0	4.9	4.9
705	გარემოს დაცვა	1,092.3	1,028.5	2,139.4	395.0	503.5	568.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	396.9	362.2	404.7	393.0	498.0	558.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	2.8	557.5	2.0	5.5	10.5
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	695.4	663.5	1,177.2	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	448.2	601.5	1,333.2	1,248.5	1,275.0	1,144.9
7061	ბინათმშენებლობა	5.8	102.0	668.8	625.0	515.0	304.9
7063	წყალმომარაგება	272.2	214.2	425.2	300.0	350.0	400.0
7064	გარე განათება	143.1	162.8	239.2	323.5	410.0	440.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	27.1	122.5	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	70.5	72.8	80.2	71.0	71.0	71.0



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	70.5	72.8	80.2	71.0	71.0	71.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	446.5	636.8	834.8	725.0	745.0	825.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	111.6	147.4	158.9	190.0	195.0	190.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	334.9	489.4	675.9	535.0	550.0	635.0
709	განათლება	322.4	474.2	717.0	760.0	880.0	790.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	322.4	474.2	717.0	760.0	880.0	790.0
710	სოციალური დაცვა	505.5	551.4	589.9	340.0	380.0	435.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	285.0	226.2	270.3	90.0	120.0	150.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	285.0	226.2	270.3	90.0	120.0	150.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	73.4	90.4	92.0	60.0	70.0	80.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	41.0	108.3	120.0	120.0	120.0	135.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	66.1	69.5	107.6	70.0	70.0	70.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	40.0	57.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ	7,539.4	7,514.9	11,194.3	6,364.0	6,614.0	6,850.0

7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 17,2 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯვის განკარგვა მოხდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.“

8. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივ ტრანსფერს 217.0 ათასი ლარს დაემატოს 2014 წლის გარდამავალი ნაშთი, 42 ათასი ლარი და სულ 259.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 80,2 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 82,3 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 96,5 ათასი ლარი

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.“

9. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №95 დადგენილების მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**





## 1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები.

### ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამით გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის, მუნიციპალური და სახელმწიფოებრივი შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფა.

### ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

## 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

ა.ა), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 979,8 ათასი ლარიდან 2015 წელს დაფინანსდეს 2014 წელს შესრულებული შემდეგი პროექტები:

- სოფელ კოდაში სოფლიდან სასაფლაომდე საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოები – 2,6 ათასი ლარით.
- სოფელ ასურეთში შიდაგზების მოასფალტებისა და სანიაღვრეს მოწყობის სამუშაოები – 31,4 ათასი ლარით.
- 2014 წლის 24-25 მაისს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფელ ნამტვირანის მისასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2,0 ათასი ლარით.

ა.ბ) ადგილობრივი ბიუჯეტიდან 139,9 ათასი ლარით დაფინანსდება სოფელ კოდაში სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 86,2 ათასი ლარით დაფინანსდება ქ. თეთრიწყაროში, ტყის ჩიხის ქუჩის მოასფალტება, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის განისაზღვრება 15,0 ათასი ლარი;

ა.გ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №121 განკარგულების და 16 ივნისის №1234 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1165,3 ათასი ლარიდან 1040,3 ათასი ლარით დაფინანსდება:

- სოფელ ასურეთში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია 176,9 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში საქარველოს ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 191,4 ათასი ლარით;
- ქალაქ თეთრიწყაროში ჯავახიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 262,1 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში გორგასლის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 291,8 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში კრწანისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 118,1 ათასი ლარი.

ა.დ) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 30,0 ათასი ლარი;

### ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი



სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

## ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება :

- ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას, აღნიშნული ააიპ-ს სუბსიდირებისათვის გათვალისწინებულია 164,3 ათასი ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება: სოფელ ქოსალარში სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობა 36,9 ათასი ლარით, ხოლო ფარცხისა და არდისუბანში ჭაბურღილების მოწყობა 51,5 ათასი ლარით. სოფელ ალგეთში სასმელი წყლის მოწყობა – 18,1 ათასი ლარით, ხოლო სოფელ ჯორჯიაშვილში, სოფელ ტბისში, სოფელ ფარცხისში და სოფელ მუხათში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისათვის საჭირო ჰიდროგეოლოგიური დასკვნის მომზადება – 6,5 ათასი ლარით. 1,5 ათასი ლარით დაფინანსდეს სოფელ მარაბდაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოსაწყობად საჭირო საპროგნოზო ჰიდროგეოლოგიური დასკვნის მომზადება. სასმელი წყლის ჭაბურღილების მოსაწყობად საჭირო ჰიდროგეოლოგიური დასკვნის მოსამზადებლად განისაზღვროს 1.3 ათასი ლარი.
- სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვრა 36,4 ათასი ლარი, სოფელ გოლთეთში სასმელი წყლის არსებული რკინის რეზერვუარების სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოების, წყლის გამანაწილებლების და გამანაწილებლებისთვის ოთახის სამშენებლო სამუშაოებისთვის – 14,5 ათასი ლარი, სოფელ დუმანისში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის – 8,1 ათასი ლარი, სოფელ ერტისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისთვის – 59.4 ათასი ლარი, წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის -3,0 ათასი ლარი.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ 979,8 ათასი ლარიდან 2015 წელს დაფინანსდეს 2014 წელს შესრულებული შემდეგი პროექტების თანხები: სოფელ ალგეთში სასმელი წყლის სისტემის და სათავე ნაგებობის მოწყობის, სოფელ ჩხიკვათაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის, სოფელ წინწყაროში სასმელი წყლის სისტემისა და შიდა ქსელის მოწყობის, სოფელ ბოგვში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის განისაზღვრა 5,1 ათასი ლარი, სოფელ მუხათში (ფაბრიკის დასახლების) საკანალიზაციო სისტემის საპროექტო სამუშაოებისათვის 0,7 ათასი ლარი.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №121 განკარგულების და 16 ივნისის №1234 განკარგულებისთანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1165,3 ათასი ლარიდან 17,7 ათასი ლარით დაფინანსდება შემდეგი საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურება: სოფელ ჭივჭავში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, ტუმბოს და სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა, სოფელ მუხათში ფაბრიკის დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა, სოფელ წინწყაროში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფელ დიდი ირაგის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ჯორჯიაშვილში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა, სოფელ ტბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა,

## ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

- ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოს დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 3,7 ათასი ლარი.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 979,8 ათასი ლარიდან 2015 წელს 508,8 ათასი ლარით დაფინანსდეს სოფელმუხათში (ფაბრიკის დასახლების) საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №121 განკარგულების და 16 ივნისის №1234 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1165,3 ათასი ლარიდან 45,0 ათასი ლარით დაფინანსდება დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის, სტალინის ქუჩისა და დემეტრაშვილის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის





**ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, აღნიშნულ მომსახურებაზე გათვალისწინებულია 90,0 ათასი ლარი.65,0 ათასი ლარია გათვალისწინებული გარე განათების არსებული ქსელის მოვლა – შენახვაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდეს დაბა მანგლისში პეტრე – პავლეს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენს 5,0 ათასი ლარს. გარე-განათების მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის განისაზღვროს 3.0 ათასი ლარი. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და ობიექტებისათვის ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის მოსაწყობად საჭირო ტექნიკური პირობისათვის გათვალისწინებული იქნას 5.7 ათასი ლარი. ქ.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოსაწყობად განისაზღვროს 70,5 ათასი ლარი.

**ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის გათვალისწინებულია 390,7 ათასი ლარი.ცხოველებისაგან მოსახლეობის უსაფრთხოებისა და დასახლებული ტერიტორიების სანიტარული დაცვის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 10,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნას 4,0 ათასი ლარი

**ბ.ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)**

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №1106 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 806,2 ათასი ლარიდან 2015 წელს 158,1 ათასი ლარით დაფინანსდეს 2014 წელს შესრულებული შემდეგი პროექტების თანხები:

- სოფელ დიდ ნამტვრიანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ შამთაში მისასვლელი №1 და №2 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 50,5
- სოფელ დუმანისში მისასვლელი გზისა და ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 6,8 ათასი ლარი;
- სოფელ ივანოვკაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 20,7 ათასი ლარი;
- სოფელ საფუძვრებში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 50,9 ათასი ლარი;
- სოფელ იფნარა-სამღერეთში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 21,9 ათასი ლარი;
- სოფელ დუმანისში წყაროს მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 7,3 ათასი ლარი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის 11 ივნისის №1211 განკარგულების საფუძველზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 614,4 ათასი ლარიდან დაფინანსდეს

- სოფელ დიდ ირაგის და ჯიგრაშენის 2 ხიდის სამშენებლო სამუშაოებისათვის 454,4 ლარი
- სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის ორი ჭაბურღილის მოწყობა 160,0 ათასი ლარი

ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 53,6 ათასი ლარით დაფინანსდეს სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით გამოყოფილი იქნა 200,0 ათასი, ხოლო 161.1 ათასი ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს სოფელ ახალსოფელსა და ზირბითში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზისა და მილხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

**გ.ა) საბავშვო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

პროგრამის ფარგლებში 200,0 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი



და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. 5,0 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში ი.გ.პ. დასახლებაში არსებული შენობის (მუსიკალური სკოლის) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 212,99 ათასი ლარით დაფინანსდება გოლთეთის ბაღის, კოდის საბავშვო ბაღის, წინწყაროს საბავშვო ბაღის, ხაიშის საბავშვო ბაღის, ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღის, თეთრიწყაროს №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ქ.თეთრიწყაროს ტერიტორიაზე საბავშვო მოედნის მოწყობა – 17,0 ათასი ლარი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში, რუსთაველის ქ. №1-ში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისათვის – 13,1 ათასი ლარი (სამუშაო დაწყებულია 2014 წელს), ხოლო ქ. თეთრიწყაროში 9 აპრილის ქ. №50-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობის სამუშაოების დასრულებისთვის – 6,7 ათასი ლარი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №121 განკარგულების და 16 ივნისის №1234 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1165,3 ათასი ლარიდან 10,8 ათასი ლარით დაფინანსდება შემდეგი საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურება: სოფელ ასურეთისა და სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღების მშენებლობა, დაბა მანგლისში და სოფელ ბორბალოში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია ხოლო დაბა მანგლისში წერეთლის №5-ში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 48,5 ათასი ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება გენერატორის განსათავსებელი შენობის მოსაწყობი ტერიტორია 4,0 ათასი ლარით, ქ.თეთრიწყაროში დიდგორის ქუჩაზე არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები 34,4 ათასი ლარით. სკვერებისა და სტადიონების, ადმინისტრაციული შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად განისაზღვროს 6.0 ათასი ლარი.

### გ. ბ) ურბანული ტერიტორიის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

- ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „თეთრიწყაროს განვითარების ფონდის“ დაფინანსება 56,0 ათასი ლარით.
- ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება „ნამტვრიანას“ სასაფლავო შემოღობვა 19,4 ათასი ლარით.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №121 განკარგულების და 16 ივნისის №1234 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1165,3 ათასი ლარიდან მომსახურება 3,0 ათასი ლარით დაფინანსდება ქალაქ თეთრიწყაროში ბაგრატიონის ქუჩის სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურება.
- ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება -32,0 ათასი ლარი.

### გ.გ) მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების – ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ 713,1 ათასლარს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით დაემატოს 141,1 ათასი ლარი და სულ სოფლის პროექტების განსახორციელებლად განისაზღვროს 854,2 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2015 წელს დაფინანსდეს 143,9 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 25,8 ათასი ლარის. ზემოაღნიშნული 143,9 ათასი ლარიდან დარჩენილი ეკონომია 31,0 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 26,5 ათასი ლარი დაემატოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ 714,8 ათას ლარს.

### 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც



განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

#### ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში დაფინანსდება 15 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 650-ზე მეტი ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

#### 4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

#### ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „თეთრიწყაროს სპორტული სკოლის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა აერთიანებს 10 სპორტულ სექციას და 200-მდე სპორტსმენს.

#### ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### ბ.ა) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“, სადაც დაცულია 11000 - მდე ექსპონატი.

#### ბ.ბ) ააიპ „სახელოვნებო სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 02 02)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „სახელოვნებო სკოლა“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის სახელოვნებო წრეებს.

#### ბ.გ) ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება-კულტურის ცენტრი“ და კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება – კულტურის ცენტრი,“ აგრეთვე „დიდგორობის“ დღესასწაული -96.0 ათასი ლარი.

#### ბ.დ) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 04)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლა“ და ააიპ „მანგლისის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 185-მდე მოსწავლე.

#### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

##### (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო



პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

**ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

ბიუჯეტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ დაფინანსებას.

**ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

